საქართველო GEORGIA

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა Administration of Dusheti Municipality

1800 ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27 ☎: (0-346) 22–19–90, 22–19–89

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება N 190

22 იანვარი 2014 წელი

ქ. დუშეთი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ გადმოცემული საშეშე მერქნის დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებზე დარიგებისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ გადმოცემული საშეშე მერქნის დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებზე დანართი N1-ის მიხედვით დარიგებისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა (ჯ. აბრამიშვილი) უზრუნველყოს სათანადო ხელშეკრულების მომზადება და თანხის გადარიცხვა.

3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (დ. შაბურიშვილი) უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: /ვ. ჩოხელი/